ახალი

ჯანმაგალი

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

ჯანმაგალი

87 წელი თქვენთან ერთად!

2019 წელი 31 იანვარი № 1 № 8142

ელფოსტა

AxaliGantiadi@gmail.com

თენგიზ ზაალიშვილის ვარსკვლავი

ქალაქ თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წინ საქართველოს სახალხო არტისტის, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ყოფილი სოლისტის, თენგიზ ზაალიშვილის სახელობის ვარსკვლავი საზეიმოდ გაიხსნა.

გვ2.

კასპში რეგიონული მნიშვნელობის პროფესიული სასწავლებელი შენდება

გვ2.

მშენებლობა 2019 წელს დასრულდება

გვ2.

ევროკავშირის საღამკვირველო მისია ფერმაში

გვ6.

“ოწინარეტყვლი მე ვარ ქართველი ლა მაწეკს მაცი მძიმე ოლელი”...

გვ5.

„ჩვენთვის ზრუნავდა, ჩვენთვის შრომობდა.„

გვ8.

კასპის თეატრალური წარსულიდან

გვ8.

სპორტული კასპი – 2018

გვ7.

“ისმოდეს საქართველოში სიმღერა საიქერიო”

გვ9.

“მალლით ლაცვირთო�lo ბიმალლი”

გვ4.

“სოფლის მხარდაჭერის პროგრამა”

გვ2.

კასპის მუნიციპალიტეტში “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, მოსახლეობასთან შესახვედრად საერთო კრებები/კონსულტაციები მიმდინარეობს.

“სოფლის მხარდაჭერის პროგრამა”, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით აღდგა. იგი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის (რეგფონდის) შემადგენელი ნაწილია და მასზე 20 მილიონი ლარი დაიხარჯება.

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის უშუალო ჩართულობით შერჩეული პროექტების განხორციელებას. ადგილობრივ პრობლემებსა და საჭიროებებს მოსახლე

დასასრული გვ2.

კასპში რეგიონული მნიშვნელობის პროფესიული სასწავლებელი შენდება

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ კასპში 200 სტუდენტზე გათვლილი რეგიონული მნიშვნელობის პროფესიული სასწავლებელი შენდება.

მშენებლობის მიმდინარეობის პროცესს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნათია ზედგინიძე გაეცნო.

თანამედროვე სტანდარტების კოლეჯში რეგიონისთვის პრიორიტეტული, სოფლის მეურნეობის მიმართულებისა და მასთან დაკავშირებული დარგების სპეციალისტები მომზადდებიან. სასწავლებელი ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე. კოლეჯის მშენებლობა მიმდინარე წელს დასრულდება და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას გაზრდის.

დასასრული. დასაწყისი გვ-1.

“სოფლის მხარდაჭერის პროგრამა”

ობა უკეთ იცნობს, სწორი გადაწყვეტილების მიღება ხელს შეუწყობს სოფლის განვითარებას.

პირველი კრება სოფელ ზემო ხანდაკში გაიმართა, სადაც შეკრებილმა მოსახლეობამ სოფელში არსებული პრობლემების შესახებ ისაუბრა. დასახელდა 4 ძირითადი პრობლემა: კერძოდ, სოფელ ზემო ხანდაკის სასაფლაოზე მისასვლელი და სასაფლაოს შიდა გზების მოწესრიგება (მოხრეშვა), სოფლის ორი სხვადასხვა უბნის შიდა გზის მოხრეშვა და ასფალტის გზის სანიაღვრე არხის რკინა-ბეტონის ღარებით მოწყობა. მოსახლეობის საერთო გადაწყვეტილებით პრიორიტეტი მიენიჭა სოფლის სასაფლაოზე მისასვლელი და შიდა გზების მოწესრიგებას (მოხრეშვა).

სოფელ ხოვლეში გამართულ კრებაზე მოსახლეობამ 4 ძირითადი პრობლემა გამოკვეთა: სოფლის სასაფლაოზე მისასვლელი გზის მოწესრიგება (მოხრეშვა), ადმინისტრაციული შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია (გამოყოფილი თანხის ფარგლებში), სოფელში მგზავრთა ორი მოსაცდელის მოწყობა, ე.წ. “პაიჭახების” სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია.

საერთო გადაწყვეტილებით, პრიორიტეტი სოფლის სასაფლაოზე მისასვლელი გზის მოწესრიგებას (მოხრეშვა) მიენიჭა.

წინარეხის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ სოფლის კრებებზე მოსახლეობამ გადაწყვიტა: წინარეხში - მოწესრიგდეს (მოიხრეშოს) სოფლის საუბნო გზები, თელადგორში - სოფლის სპორტული მოედანი მოეწყოს, იდლეთში - აღდგეს სოფლის სარწყავი სისტემის დაზიანებული მონაკვეთი.

პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის კრებები გაიმართა კოდისწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში.

ხმათა უმრავლესობით მოსახლეობამ შემდეგი გადაწყვეტილებები მიიღო: სოფელი ზემო რენე - სოფლის სასაფლაოზე მისასვლელი გზის მოწესრიგება (მოხრეშვა); სოფელი ქვემო რენე - სოფლის შიდა გზების მოწესრიგება (მოხრეშვა); სოფელი კოდისწყარო - სოფელში სპორტული სავარჯიშო ადგილის მოწყობა სავარჯიშო ინვენტარით; სოფელი ნიგოზა - სოფელ ნიგოზას შიდა გზის მოწესრიგება (მოხრეშვა); სოფელი სარიბარი - სოფელ სარიბარიდან სოფელ ყარაფილაში მისასვლელი გზის მოწესრიგება (მოხრეშვა); სოფელი ყარაფილა - სოფლის ძველი წყაროს სათავე ნაგებობის დრენაჟის აღდგენა.

სოფლის პრობლემებიდან მოსახლეობა ხმათა უმრავლესობით იმ პრობლემის განხორციელებაზე იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია.

სოფელ კაპრაშიანის და ახალსოფლის მოსახლეობამ სოფლის შიდა გზების მოწესრიგება, ხოლო თემმისხევის მოსახლეობამ სოფლის სასმელი წყლის დებეტის გაზრდა გადაწყვიტა.

სოფელ ნოსტის მოსახლეობამ პრიორიტეტი სასმელი წყლის რეზერვუარის აღდგენას მიანიჭა.

ცხავერის და გოსტიბის მოსახლეობამ შიდა სასოფლო გზების მოწესრიგება გადაწყვიტა, ხოლო მთიულთუბნის კრებაზე სოფელში სასმელი წყლის ჩამოყვანის გადაწყვეტილება მიიღეს.

კავთისხევის და მეტეხის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ კრებებზე, მოსახლეობამ სოფლებში არსებულ პრობლემებზე საუბრისას პირველ რიგში მოსაწესრიგებლად მიიჩნიეს ძირითადად სასმელი და სარწყავი წყალის საკითხი, სოფელში მისასვლელი და შიდა გზების მოწესრიგება. ასევე საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა, სანიაღვრე არხის აღდგენა, გმირთა მემორიალის რეაბილიტაცია და სხვა.

სოფლის საერთო კრებებს ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზაზა მარიდაშვილი, მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი ნოდარ ნატროშვილი, მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ურბანული განვითარების განყოფილების გამგე აჩიკო გიგოლაშვილი.

24 იანვარს საერთო კრებები გაიმართა მუნიციპალიტეტის 6 სოფელში: გარიყულა, ახალციხე, ქვემო გომი, ნიაბი, ბორტა, სასირეთი.

მოსახლეობის გადაწყვეტილებით სოფელ გარიყულაში სოფლის სასმელი წყლის დრენაჟზე ქვიშა-ხრეშის დამატების აუცილებლობა გამოიკვეთა, ბორტასა და სასირეთში საუბნო გზების მოხრეშვა, ქვემო გომში საბავშვო ბაღისათვის საწოლების, ტელევიზორის და ეზოში სათამაშო, გასართობი ინვენტარის შეძენა, ნიაბი სოფლის სასმელი წყლის გადამღვრელის მოწყობას ითხოვს, ხოლო ახალციხე სოფლის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის დაზიანებული ადგილების შეკეთებას.

“სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში მუნიციპალიტეტში საერთო კრებები გრძელდება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

განათლება

მშენებლობა 2019 წელს დასრულდება

ახალი სკოლების მშენებლობის პროცესს ჩვენი მკითხველი ინტერესით ადევნებს თვალყურს. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობის პროცესს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნათია ზედგინიძე გაეცნო. თანამედროვე სტანდარტების შენობა გააერთიანებს რესურს ოთახს, ექიმის კაბინეტს, ხელოვნების ოთახს, სასადილოს, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ კლასებს. სკოლაში იფუნქციონირებს ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიები.

7 იანვარი, 2019 წელი.

ამონარიდი საშობაო ეპისტოლედან

ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის

ამონარიდი საშობაო ეპისტოლედან: ”საუკუნეთა მანძილზე უფლამდე მისასვლელი გზა მუდამ ნარ-ეკლიანი იყო, ვიწრო და ძნელად სავალი, რადგან ყოველ ეპოქას თავისი ჰეროდე ჰყავს, რომელიც ძალაუფლების შესანარჩუნებლად არ ერიდება ბოროტ, ბილწ საქმეთ, არ ერიდება არც უდანაშაულო ყრმათა მოწყვეტას, ოღონდ ადამიანები თავის მონობაში ამყოფოს და შემოქმედი დაავიწყოს.

ჩვენს დროშიც მისი მოქმედებანი სხვადასხვა სახით ვლინდება: აბორტით მოწყვეტილ ჩვილთა სისხლი ცას შეჰღაღადებს, ნარკომანია, აზარტული თამაშები თუ უზნეო ცხოვრების წესი ათასობით ახალგაზრდას იწირავს და ეს დანაშაულებანი ჩვენგან პასუხს ითხოვს.

ჰეროდესეული სული იმასაც ცდილობს, ისეთი გარემო დაამკვიდროს, სადაც მისაბაძი აღარ იქნება სხვისთვის არა თუ თავის გაწირვა, ნაცვალგების გარეშე სიკეთის ქმნაც კი; მისაბაძი აღარ იქნება ზნეობრიობა და სიწმინდე და ადამიანებს დახშული ექნებათ სინდისის ხმა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ სიმართლე და სიკეთე განქარდება, ურთიერთპატივისცემა და პატიოსნება დაიკარგება, რაღა იქნება ჩვენი ყოფა?! თუ მეგობრობა, სიყვარული და თანადგომა ადამიანთა ბუნებიდან წარიხოცება, ვინ შეძლებს ამგვარ სივრცეში ცხოვრებას?! ასეთი საზოგადოება ხომ თავისთავად გახდება სიცოცხლის უუნარო და გადაგვარებისათვის განწირული, რადგან მას აღარ ექნება ძალა ბოროტების შეჩერებისა და ცოდვისთვის წინააღმდეგობის გაწევისა?

ამასთან, გაქრება ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი ზღვარიც, ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის.

სამწუხაროდ, ეს მდგომარეობა თანდათან ჩვენთანაც ფეხს იკიდებს და ხალხს შიში და უიმედობა იპყრობს,მაგრამ არ უნდა გავტყდეთ, არ უნდა დაგვაბრკოლოს არც გამრავლებულმა ღალატმა და გაუტანლობამ, არც შურმა და მზაკვრობამ. დროა ასეთი! არსებული რეალობა უნდა მივიღოთ, როგორც ჩვენი რწმენის დიდი გამოცდა და შევძლოთ, განვეშოროთ ბოროტებას, ჩვენდამი ჩადენილ ავ საქმეთა გამო, სამაგიეროს გადახდას; ვეცადოთ, არ დავკარგოთ მომავლის იმედი, არ დავკარგოთ მოყვასის სიყვარული და მისდამი თანადგომის სურვილი, არ დავკარგოთ ღირსება და ძალისამებრ ჩვენისა, სიკეთით ვუპასუხოთ გამოწვევებს.

შევნიშნავთ იმასაც, რომ არის დიდი მცდელობა სიტყვის თავისუფლების დამახინჯებული აღქმის გაბატონებისაც. თავისთავად სიტყვის თავისუფლება საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი უფლებათაგანია, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს საშუალებას აძლევს, საკუთარი შეხედულებისამებრ, საჯაროდ გამოთქვას აზრი და ამისთვის გამოიყენოს მასმედიაც და სოციალური ქსელიც, რაც პიროვნული თავისუფლების განცდას ბადებს და ნანახისა თუ ნააზრევის სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობას ქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება რეალობის შეცვლა და სიტყვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობა.

დღეს ადამიანები აღარ ერიდებიან სხვისი დამცირების მიზნით მათ უსაფუძვლოდ შეურაცხყოფას; სიცრუე და ბილწსიტყვაობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

გახშირდა ტყუილის ყველაზე მძიმე ფორმაც, გაცნობიერებული, შეგნებული სიცრუე, ცილისწამება, რომელიც ზოგჯერ სიმართლის სახელით ვირტუოზულად ისე არის შებურვილი, რომ მსმენელს, თავდაპირველად მაინც, შეცდომაში შეიყვანს. ამის მოქმედთ, ალბათ, ჰგონიათ, რომ რაკი სხვასზე ფიზიკურად არ ძალადობენ და სხეულის დაზიანებას არ აყენებენ, ეს დანაშაული უმნიშვნელოა, რაც ძალიან დიდი შეცდომაა. სიტყვას უჩვეულო ძალა აქვს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, რადგან მას ქმნადობის უნარი გააჩნია. არის სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი და სიტყვა სიკვდილის ტოლფასი. ამასთან, არცერთი ჩვენი ნათქვამი არ ქრება და იგი ჩვენი მამხილებელი იქნება ღვთის წინაშე. მაცხოვარი ბრძანებს: “ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სასამართლოში უნდა მიეცეს; ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას, რაკა, სინედრიონს უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის ძმას: შლეგო, ცეცხლის გეენაში უნდა ჩავარდეს” (მათე 5,22).

იაკობ მოციქულიც მეტად მკვეთრ შეფასებას აძლევს ავისმოქმელთ: “...ენა ცეცხლია, უსამართლობის სამყაროა იგი ...ის ბილწავს მთელს სხეულს... დაუკავებელი ბოროტებაა და მომაკვდინებელი გესლითაა სავსე. მით ვაკურთხებთ

არ უნდა გავტყდეთ, არ უნდა დაგვაბრკოლოს არც გამრავლებულმა ღალატმა და გაუტანლობამ, არც შურმა და მზაკვრობამ. დროა ასეთი!

ღმერთსა და მამას და მით ვწყევლით ღვთის ხატად შექმნილ ადამიანებს... ასე არ უნდა იყოს” (იაკობი 3, 6-10).

თითოეული დღე, საათი და წუთი აღბეჭდილია ჩვენი კარგი ან ცუდი ქმედებით, კარგად ან ცუდად მეტყველებით. დროს ვერ დავაბრუნებთ და მასში ვერც ჩვენს ნაკვალევს წავშლით, თუ სინანული არ გვექნა.

გულწრფელი, ღრმა სინანული, აღსარება და ზიარება ღვთისგან ნაწყალობევი ის საიდუმლოებებია, რომელთაც ძალუძთ მთელი ჩვენი განვლილი არასწორი ცხოვრების და მისი შედეგების აღმოფხვრა, ცოდვის წარხოცვა და ახალ ადამიანად ჩვენი გარდაქმნა, განწმენდა და სულიერი ამაღლება.

წმინდა იოანე ოქროპირი წერს: როგორი ცხოვრებითაც არ უნდა ვიცხოვროთ, სინანულს ვერ ავცდებით; ის, ვინც ამქვეყნად ცდილობს სინანულით უწამლოს თავისი სულის ცოდვით გამოვლინებებს, მარადიულად იხარებს, ხოლო ვინც ამ ქვეყანად შეჰხარის დროებით წარმავალ სიკეთეთ და ყველა საშუალებით მათ მოპოვებას ესწრაფვის მხოლოდ, აუცილებლად ინანებს საუკუნოდ.

პავლე მოციქული კი ბრძანებს: “ხორციელნი ხორცისას იზრახავენ, ხოლო სულიერნი,-სულისას ხორცის ზრახვა სიკვდილია, ხოლო სულის ზრახვა, სიცოცხლე და მშვიდობა” (რომ. 8, 5-6). “მეორე რჯულშიც” ვკითხულობთ: “თქვენს წინაშე ვიმოწმებ ცას და მიწას: სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევი წინ, კურთხევა და წყევლა. აირჩიე სიცოცხლე, რომ იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ” (სჯ. 30,19).

მთელი კაცობრიობის და თითოეული ჩვენგანის არსებობის არსი ამ ორი გზიდან ერთ-ერთის არჩევაში მდგომარეობს. განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს მომავალ თაობაზე, რათა შემდეგ მათ საყვედური არ გვითხრან, რომ არ დავეხმარეთ, გაცნობიერებული ნაბიჯები გადაედგათ თავისი ცხოვრების გზაზე. მე ურთიერთობა მაქვს პედაგოგებთან და ნაწილობრივ ვიცი ის პრობლემები, რის წინაშეც დღეს საჯარო სკოლა დგას.

სასიხარულოა, რომ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მასწავლებელთა ხელფასს გაზრდის და იზრუნებს მათი ავტორიტეტის ამაღლებისთვის; ასევე, სასიხარულოა დაწყებით კლასებში “დედა ენის” დაბრუნება, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია; ჩვენ მხოლოდ აუცილებელ თემებზე შევჩერდებით და ვიმედოვნებთ, ახალი ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს მას.

პირველ რიგში, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდას; სასწავლო პროგრამებიდან, სამწუხაროდ, თითქმის ამოღებულია ჩვენი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები, ყურადღება არ მახვილდება ჩვენი ერის გმირულ წარსულზე, არ აღინიშნება გამოჩენილ პიროვნებათა და მოვლენათა ღირსსახსოვარი თარიღები; ხშირად არ ეწყობა ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის გასაცნობად... უნდა გატარდეს სხვა ღონისძიებებიც, რომ ყმაწვილებში სამშობლოს სიყვარული გაღვივდეს და ისინი ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.

გახშირდა ტყუილის ყველაზე მძიმე ფორმაც, გაცნობიერებული, შეგნებული სიცრუე, ცილისწამება, რომელიც ზოგჯერ სიმართლის სახელით ვირტუოზულად ისე არის შებურვილი, რომ მსმენელს, თავდაპირველად მაინც, შეცდომაში შეიყვანს.

ლუკმა-პურის შოვნისთვის სახლიდან გასულ მშობლებს ძალიან ცოტა დრო რჩებათ შვილებისათვის; ამიტომაც სახელმწიფომ და, აქედან გამომდინარე, სკოლამ უნდა იტვირთოს როგორც სწავლების, ისე აღზრდის ფუნქცია. სკოლაში საათები უნდა დაეთმოს პირად ჰიგიენას, ხელსაქმეს, სახელობო მიმართულებებს, ბუნებასთან ურთიერთობას, სოფლის მეურნეობის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას, უნდა ფუნქციონირებდეს მუსიკალური, სამხატვრო, ლიტერატურული წრეები... უმნიშვნელოვანესია სპორტული დარბაზებითა და მოედნებით სასწავლებლების უზრუნველყოფა და სპორტულ წრეებში ბავშვების გაერთიანება, რომ მათ ენერგია აქ დახარჯონ და ჯანმრთელ და ძლიერ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ.

სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მოსწავლეებს შრომის სიყვარული, უნარი პატიებისა და სხვისი სიხარულით გახარებისა, სიმართლის დაცვისა და მეგობრის ერთგულებისა, დაჩაგრულის თანადგომისა და, საერთოდ, სიკეთის ქმნისა. ამის განხორციელების შემთხვევაში შეგვეძლება ვთქვათ, რომ მოზარდებს მივეცით საშუალება ჯანსაღ თაობად აღზრდისა; შევთავაზეთ სიკეთე და სიცოცხლე, დანარჩენი კი მათ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

როგორც აღვნიშნეთ, დღეს ხშირ შემთხვევაში დედ-მამა შვილს ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას; სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მშობელი ნაკლებად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში, რაც დაუშვებელია; სავალდებულო უნდა გახდეს პედაგოგებთან ხშირი შეხვედრა; მათ უნდა იგრძნონ თავისი პასუხისმგებლობა და მასწავლებლებთან ერთად ყველაფერი გააკეთონ შვილთან მიმართებაში სწორი მიდგომების განსაზღვრისათვის.

რაც შეეხება ოჯახს, ანუ მცირე ეკლესიას: ზოგადად, ყველამ ვიცით, რომ იგი ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს უნდა ეფუძნე

დასასრული გვ-4.

7 იანვარი, 2019 წელი.

ამონარიდი საშობაო ეპისტოლედან

ზღვარი სიყეთესა და ბოროტებას შორის

დასასრული.
დასაწყისი გვ-3.

ბოდეს. ყველამ ვიცით ისიც, რომ ოჯახში უსიამოვნებებიც ხდება, მაგრამ როგორც ცოლი, ისე ქმარი უნდა ეცადოს, რთული სიტუაცია მალევე განმუხტოს და, როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, დღე ისე არ უნდა დასრულდეს, რომ განაწყენებულებმა ერთმანეთს შენდობა არ სთხოვონ.

გახსოვდეთ ისიც, რომ ჩხუბსა და დაძაბულობას შვილები უნდა განარიდოთ, მათი მგრძნობიარე სული მთელი სიმწვავით რეაგირებს ასეთ ქმედებებზე; განსაკუთრებით მძიმე კვალს კი მშობლების განშორება ტოვებს. სამწუხაროდ, დღეს ხშირად ირღვევა ოჯახები, უმთავრესად ახლადშექმნილი. ვფიქრობთ, ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ახალგაზრდები ცხოვრებისთვის არ არიან მომზადებულნი და პატარა გაუგებრობაც საკმარისი ხდება განშორებისთვის. მათ უნდა იცოდნენ, რომ თავდაპირველად უსიამოვნებები შეიძლება ჰქონდეთ, რადგან ეს არის ერთმანეთთან რეალური ურთიერთობების დაწყების პერიოდი; ეს არის ოჯახურ სივრცეში დათმობის და, ამავე დროს, შენი ღირსების დაცვის, სიყვარულის გაცემისა და მიღების, სხვისი და საკუთარი თავის პატივისცემის დამკვიდრების პერიოდი.

ცოლ-ქმრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოძღვრის ყოლას. ამასთან, კარგი იქნება თუ ისინი აღსარებას ერთ სასულიერო პირს ჩააბარებენ (რა თქმა უნდა, შეიძლება სხვა და სხვა მოძღვარიც ჰყავდეთ), რომ მისი საშუალებით თითოეულმა შედარებით უმტკივნეულოდ გააცნობიეროს თავისი შეცდომა და მდგომარეობა გამოასწოროს. დაეყრდენით ღმერთს, ისწავლეთ მასთან საუბარი, გადაუშალეთ გული და იგი გიჩვენებთ საოცარ მაგალითს მეგობრობისა და შეწევნისა.

ცალკეული ადამიანი და მთელი მსოფლიოც დაუცველობის განცდამ სწორედ იმიტომ მოიცვა, რომ პიროვნება თავისი თავის იმედად დარჩა და შემოქმედი დაივიწყა. ბედნიერია ის, ვის გულშიც ღმერთმა თვისი ძის სული გამოავლინა (გალატ.4,6) და აღავსო იგი ჭეშმარიტი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. ასეთი პიროვნებისთვის აღარ არსებობს შიში ხვალინდელი დღისა, აღარ არსებობს შიში განსაცდელისა და თვით სიკვდილისაც, რადგან იცის და სწამს, რომ "ღვთის მოყვარულთ ყოველივე სასიკეთოდ წარემართებათ... ხოლო "თუ ღმერთი ჩვენსკენ იქნება, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ" (რომ. 8, 28,31)!

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენნო, ყოველნო ერნო, ჩვენთვის შვა ყრმა ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი, ჩვენს ყველა სენთა და ტკივილთა დიდი მკურნალი. ბეთლემის ბაგას ვარსკვლავი დასდგომია; ვიჩქაროთ, რომ თაყვანი ვსცეთ ჩვილ იესოს, აბრაამის აღთქმის განცხადებას, მოსეს რჯულის დასრულებას, ახალ პასექსა და ახალ ადამს, პურს ცხოვრებისას და ნათელს სოფლისას, ძეს ღვთისას და ძეს კაცისას, გზას, ჭეშმარიტებასა და სიცოცხლეს.

შორებელთა და ახლობელთ გვიხმობს ღმერთი ჭეშმარიტი, გვიხმობს ხანდაზმულთ და ყრმებს, ახალგაზრდებს, გვიხმობს დამცირებულთ და შეურაცხყოფილთ, ქვრივ-ობლებს, განსაცდელში მყოფთ, მდიდართ და გლახაკთ, ჩინებულთ და უჩინოთ, ერსა და ბერს. არა აქვს მნიშვნელობა, მისკენ ჩვენი გზის სავალი ბეთლემელი მწყემსებივით ხანმოკლე იქნება, თუ მოგვებივით ხანგრძლივი, მთავარია ვპოვოთ იესო, ვპოვოთ ყოვლადწმინდა მარიამი, ჩვენი გამორჩეული მფარველი, და აღარც განვეშოროთ მათ სიცოცხლის ბოლომდე.

იესო ქრისტეს მოწყალებით, ღვთისმშობლის მეოხებით, ღმერთმა ბედნიერი შობა-ახალი წელი მომადლოს თითოეულ თქვენგანს, სრულიად საქართველოს და მთელ მსოფლიოს. ყველას გისურვებთ უფლის მადლით აღვსებას!

ღმერთს ებარებოდეთ, იხარეთ ორთავ სოფელსა შინა! სიყვარულით თქვენთვის მლოცველი ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი".

"ძალითა ღვთივრითოვრი ხომალდი"

...''ძალიან ხშირი შემთხვევაა, როცა ადამიანები მომავლის იმედს კარგავენ, რაც სასონარკვეთილების ცოდვაა. გახსოვდეთ, ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს გამოსავალი და უფალმა ყოველთვის შეიძლება ისეთი სასნაულები მოგვივლინოს, რომ გაოცებულნი დავრჩეთ.''

უწმიდესი და უნეტარესი ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა.

2018 წლის 25 დეკემბერს კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლეახალგაზრდობის სახლის საეკლესიო სიმღერა-გალობის წრის /ხელმძღვანელი ლალი კალატოზიშვილი/ მოსწავლეების ინიციატივითა და ძალებით ჩატარდა ღონისძიება /ორნაწილიანი/ სახელწოდებით "მადლით დატვირთული ხომალდი", რომელიც მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრებიდან 41-ე და დაბადებიდან 86-ე წლისთავს...

— საფუძვლიანად ვემზადებოდით ამ ღონისძიებისათვის, გვსურდა ეს დღე განსხვავებული, შთამბეჭდავი და ორიგინალური ყოფილიყო, — განმარტავს ლალი კალატოზიშვილი, — სხვათა შორის, ღონისძიების პირველი ნაწილი მთლიანად დაეთმო პატრიარქის მიერ შექმნილი სიმღერა-საგალობლების შესრულებას, ხოლო მეორე ნაწილში მოსწავლეები შეეცადნენ სრულად, შთამბეჭდავად გადმოეცათ ერის სულიერი საჭეთმპყრობელის ბრძნული გამონათქვამები და ლოცვები.

მართლაც რომ, საინტერესო მოსასმენი იყო, ნამდვილად არ მოგწყინდებოდათ მოსწავლეების მიერ შესრულებული პატრიარქის მიერ შექმნილი სიმღერა-საგალობლები: "წმინდაო ღმერთო", "ღირს არს ჭეშმარიტად", "გიხაროდენ, ფრიად შვენიერო", "შამაო ჩვენო", რომელსაც მოჰყვა პატრიარქზე შექმნილი საგალობლები: "ჯვრის მტვირთველო", "ქართული საგალობელი", შესრულდა აგრეთვე, ყველასათვის კარგად ცნობილი "შენ ხარ ვენახი" და "ღვთისმშობლის მრავალჟამიერი"...

სიმღერა-გალობის წრის მოსწავლეებმა დაუვიწყარი საღამო აჩუქეს უპირველესად საკუთარ თავს, დარბაზში

მოწვეულ სტუმრებს, რომელთა შორის იყვნენ სასულიერო პირებიც, დეკანოზი იოანე კალატოზიშვილი და მღვდელი რომანოზ გიგილაშვილი...

შეხვედრაზე აქტიურობდნენ საგალობლების შემსრულებლები: ნინო შერმადინი, ლიზი ქერდიყოშვილი, ანა

გამხიტაშვილი, თეკლა ბერიანიძე, ნუცა ბერიანიძე, რუსუდან და მარიამ თაბორიძეები, თომა მურღული, მარიამ ლომიაშვილი და დები გოგიტიშვილები.

ღონისძიების ბოლოს მოსწავლეებმა წარმოთქვეს ღვთისმშობლის ლოცვა: "მოწყალებისა კარი განგვიღე კურთხეულო ღვთისმშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა, ამინ!"

მოკლედ, მოსწავლეების ძალებით ჩატარებული ღონისძიება, რომელიც პატრიარქის მოღვაწეობის საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა, დადებითად შეაფასეს კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა და მოსწავლეთა სახლის დირექტორმა ლელა პეტრიაშვილმა, აზრი გამოთქვეს და შეაქეს ბავშვების გამოსვლა კასპის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგებმა მანანა ყაბანაშვილმა და ლალი რომაშვილმა. საინტერესო, შემეცნებითი და ლამაზი შეხვედრის დასასრულს საშობაო ალილოს მოსწავლეები და სტუმრები ერთად გალობდნენ.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

“ოწინარეული მე ვარ ქარითვილი და მაწევს მიცი მძიმე ოლილი”...

“წარსული მოგონებაშია, აწმყო — ქმედებაში, ხოლო მომავალი — წარმოსახვაში”...

ნეტარი ავგუსტინე.

ჩვენი ქალაქის ცენტრში, ეფრემ მეორის ქუჩაზე /ყოფილი სააკაძის №2/ მდებარე საცხოვრებელი კორპუსის კედელზე აღმართული ლამაზი მემორიალური დაფა /წარწერით, ამ სახლში ცხოვრობდა მწერალი გიორგი ხორგუაშვილი/ არა მხოლოდ კასპის, მთელი რაიონის მატიანესა და კულტურული ცხოვრების ისტორიას ამდიდრებს...

გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ჩინებულ მოქართულეს, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შემკრებსა და დამფასებელს, ღირსების ორდენის კავალერს, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ყოფილ დირექტორსა და კიდევ სხვა უამრავი რეგალიების მფლობელს ბატონ გიორგი ხორგუაშვილს 2019 წლის 10 იანვარს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა.

მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით გაიმართა მწერლის საიუბილეო საღამო, რომლის ორგანიზატორები გახლდათ კასპის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამსახური, კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი “ახალი განთიადი”, ღონისძიების პროგრამა თავიდან ბოლომდე შეადგინა და მისი მსვლელობა შესანიშნავად წარმართა ლია მენაბდიშვილმა...

საიუბილეო საღამო დაიწყო მუზეუმიდან, სადაც განთავსებული იყო სპეციალური გამოფენა — “გიორგი ხორგუაშვილი — 90”.

თავმოყრილი იყო ფოტო-დოკუმენტური და იშვიათი სამუზეუმო ექსპონატები: საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ესეების ავტორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, მწერლის თაოსნობითა და ინიციატივით რაიონში დამკვიდრებული საქვეყნოდ აღიარებული სახალხო დღესასწაულების: “გურამიშვილობის” და “სააკაძეობის”, “ჯავახიშვილობის” და კიდევ სხვა ეროვნული ღირებულებების მქონე კულტურული ღონისძიებების ამსახველი მასალები...

საიუბილეო ღონისძიებამ გადაინაცვლა ქალაქის კულტურის ცენტრში, სცენაზე სპეციალურად დამონტაჟებულ მონიტორზე მოეწყო ჩვენი თანაქალაქელის ვანო ჯახუას მიერ დოკუმენტურ მასალებზე მომზადებული მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მცირემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება.

ჩვენმა თანაქალაქელმა ვანო ჯახუამ ბატონი გიორგი ხორგუაშვილის ოჯახს და მისივე სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს საჩუქრად გადასცა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მიერ 1956-2011 წლებში საქართველოს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული 400-მდე სტატიის, მოთხრობისა და ლექსის ბიბლიოგრაფია.

იუბილეზე მოპატიჟებულმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, კულტურის მუშაკებმა ვრცლად, ამომწურავად ისაუბრეს გიორგი ხორგუაშვილის შემოქმედებაზე, მის მოღვაწეობასა და დამსახურებაზე.



საგანგებოდ აღინიშნა წიგნებად გამოცემული მწერლის გახმაურებული პროზაული ნაწარმოებები: “თევდორე თავდადებული”, “თქვენი გამარჯვებისა”, “მარად ქალწული თემიდა”, აგრეთვე, 80 წლის “გურამიშვილობის” ... საიუბილეოდ გამოცემული ლექსებისა და ნოველების კრებული “ლანდები”.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ და გაიხსენეს მწერალთან შეხვედრის დაუვიწყარი წლები სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ოთხმეზური, მწერალი ზაალ ბოტკოველი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაია არველაძე, პოეტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი შარლოტა კვანტალიანი, საქართველოს მუზეუმების ასოციაციის პრეზიდენტი ინგა ქარაია, მეცნიერი, ორიენტალისტი ზურაბ კიკნაძე, ეროვნული გალერეის წარმომადგენელი ლანა ქარაია, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტები, გიორგი ხორგუაშვილის უახლოესი მეგობრები გურამ გოგიაშვილი და გურამ ვაშაკიძე, შიდა ქართლის ტურიზმის კავშირის თავმჯდომარე რობერტ მაღლაკელიძე, კასპის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, ქვიშხეთის დავით ყიფიანის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი კლარა გელაშვილი და სკოლებთან ურთიერთობის მენეჯერი გივი გელაშვილი, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი, უფლისციხის მუზეუმის წარმომადგენელი ინა კარელიძე, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის წარმომადგენელი ნანა გულორდავა, გაზეთ “განთიადის” ყოფილი რედაქტორი თემურ ჟღენტი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი, მწერლისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პედაგოგმა თამარ გაბოძემ, მოწვეულ სტუმრებსა და საიუბილეო ღონისძიების ორგანიზატორებს დაფასებისათვის გულითადი მადლობა გადაუხადეს მწერლის თანამეცხედრემ ქალბატონმა ნათელა ფარემუზაშვილმა, შვილმა ზურაბმა, შვილიშვილმა ხატიამ, რომელმაც ძალიან მოინდომა, ძალისხმევა არ დაიშურა იმისათვის, რომ საამყო პაპის იუბილე ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებულიყო, დისშვილმა ლია ბეგლარაშვილმა.

მწერლის საიუბილეო საღამოს ძალიან მოუხდა მუსიკალური ნომრებიც, ცნობილმა შემსრულებლებმა ხათუნა ტყემალაძემ და ზაზა მენაბდიშვილმა შეასრულეს ქართული საესტრადო სიმღერები... საღამო დასრულდა ქართული “მრავალჟამიერით”, რომელიც შეასრულა ფოლკლორულ ანსამბლ “მოურავმა”.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

სკოლამდელი აქტივობები:

ტყის ჯადოსნური ზღაპარი

პატარები თვალს ვერ აცილებდნენ ათასფრად მორთულ, ბრჭყვიალა სათამაშოებით დამშვენებულ ნაძვის ხეს. მარტო ბავშვები კი არა, მშობლები, ბებია-პაპებიც კი თავს იქცევდნენ საახალწლოდ მორთულ პატარა მისაღებ ოთახში...

— შობის დადგომამდე, კაი ხნით ადრე დავგეგმეთ საახალწლო აქტივობის გამართვა, — განმარტავს სასირეთის საბავშვო ბაღის გამგე ქეთევან ჭაღიაშვილი, — საამისოდ, ბუნებრივია, სახელდახელო “სცენარიც” მოვიფიქრეთ და ასე და ამგვარად პატარა “მსახიობებიც” შევარჩიეთ ჩვენს აღსაზრდელებს შორის, ერთი სიტყვით, საახალწლო აქტივობის ძირითადი ადგილი გახლდათ არც მეტი, არც ნაკლები თოვლიანი და იდუმალი ტყე.

... საკარნავალო სამოსში გამოწყობილი გოგო-ბიჭები, ესე იგი, ტყის ბინადრები /დათვი, მგელი, მელაკუდა, კურდღელი/ უიმედოდ, მაგრამ მაინც ელოდნენ, იქნებ, მოხდეს სასწაული და მათთანაც გამოჩნდეს ნანატრი თოვლის პაპა, არადა, მართლაც აუხდათ გულის წადილი ტყის ბინადრებს, შორი გზიდან მომავალმა თოვლის-პაპამ გადაწყვიტა მათთვის სიურპრიზი მოეწყო და ღამით, ყველასთვის მოულოდნელად “ვერტმფრენიდან” საჩუქრები ჩაუყარა ტყის ბინადრებს, მერე კი, ცხოველებს /ვითომ, ვით-

დასასრული გვ.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ფერმაში

წლის გამორჩეული და შინაარსიანი, ყველაზე შთამბეჭდავი პროექტი "საახალწლო აქტივობები" შობის დადგომამდე ჩატარდა კასპის მუნიციპალიტეტის საბავშვო-საადმზრდელო დაწესებულებებში. ამ დღესასწაულს მოუთმენლად ელოდნენ აღსაზრდელები, მათი მშობლები, პედაგოგები...

– ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ სწავლისა და განვითარების უნარი გახლავთ ბავშვის თანდაყოლილი თვისება და იგი შესაძლებლობის ფარგლებში სხვების დახმარებით იწყებს სამყაროს შეცნობას. მათ ამ პერიოდში ებადებათ უამრავი კითხვა, დროთა განმავლობაში პატარების ინტერესის სფერო სულ უფრო და უფრო ფართოვდება. ისინი საკუთარ კითხვებზე პასუხს იღებენ მშობლებისაგან, უფროსებისაგან, ბაღის აღმზრდელ-პედაგოგებისაგან.

სწორედ ამიტომ არის აუცილებელი ბაგა-ბაღში სხვადასხვა სახისა და დატვირთვის მქონე აქტივობის ჩატარება, – საუბრობს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, – ამ მხრივ კი, საახალწლო ღონისძიება, რომლის მონაწილე ბავშვები და მასწავლებლები, მშობლებიც კი, ერთ ბირთვად იკვრებიან და ადვილად ხერხდება პატარების აქტიურობისა და მოხერხებულობის გამოვლენა. სწორედ ამ თვალსაზრისით, მართლაც რომ, აღსანიშნავია ფერმის საბავშვო ბაღში /გამგე ლორინა ჩიტაშვილი/ გამართული საახალწლო აქტივობა, რომელიც დადებითად შეაფასეს უცხოელმა სტუმრებმა.

საქმე ის გახლავთ, რომ საახალწლო ღონისძიებაზე ფერმელ ბავშვებს ესტუმრა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, რომელთანაც წლებია, ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანება. სხვათა შორის, მისიის წარმომადგენლები ხშირად სტუმრობენ სასაზღვრო ზოლთან არსებულ ბაღებს და საგულდაგულოდ ამოწმებენ აქ არსებულ ვითარებას, მათ აინტერესებთ ბავშვთა კვებისა და ჰიგიენის საკითხები, ამოწმებენ ინფრასტრუქტურას, ესწრებიან საადმზრდელო პროცესის მიმდინარეობას, იმასაც აკვირდებიან, თუ რამდენად დაცულია, როგორც ბავშვების, ასევე, ბაღის თანამშრომლების უფლებები.

მოკლედ, როგორც ქალაქის, ასევე სოფლების საბავშვო ბაღებში წინასწარ განსაზღვრული და კარგად ორგანიზებული გეგმის მიხედვით განხორციელდა საახალწლო აქტივობა.

ბავშვებმა ღამაზად გააცილეს ძველი წელი და სამომავლოდ კეთილი სურვილები, წარმატებები უსურვეს ერთმანეთს...

დასასრული. დასაწყისი იხ. გვ5.

ომ/ რატომღაც ერთმანეთში აერიათ საჩუქრები და სხვისი კუთვნილი ფუთები წაიღეს, როდესაც აღმოაჩინეს, რომ საჩუქრები მათ არ ეკუთვნოდათ, გადაწყვიტეს უკან დაებრუნებინათ და თოვლის პაპის ხელით ბავშვებს გამოუგზავნეს...

ჯადოსნური ზღაპრის კულმინაცია გახლდათ ნანატრი სტუმრის გამოჩენა, დიახ, თავისი განუყრელი ხურჯინით ბავშვებს ესტუმრა თოვლის პაპა და გაახარა ისინი.

საახალწლო აქტივობაზე შეუდარებლები იყვნენ პატარა აღსაზრდელები: ნინი, დიაკო, ნიაკო, ანა, გიორგი, ლიზი, ბარბარე, ნიკოლოზი, თამარი, მარიამი, ქეთი. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე პატარები, ტყუპები: ანდრია და ალექსანდრე, ლაზარე, გაბრიელი მართალია, ბევრს ვერაფერს მიხვდნენ, თუ რა ხდებოდა იმ

სკოლამდელი აქტივობები:

ტყის ჯადოსნური ზღაპარი

დღეს ბაღში, მაგრამ თოვლის პაპა არ გამოჰპარვიათ მხედველობიდან, უფრო მეტიც, თვალმოუშორებლად, გაოცებულები შეჰყურებდნენ მას.

მოკლედ, ხალისით, შინაარსიანად ჩატარდა საახალწლო აქტივობა, რომლის ორგანიზებულად წარმართვისათვის ძალიან მოინდომეს აღმზრდელებმა ნაილი დათაშვილმა, თიკო დემეტრაშვილმა, მუსიკის პედაგოგმა თამარ ბახტაძემ, თოვლის პაპის როლის შემსრულებელმა ნატო ქვრივიშვილმა...

ერთად ყოფნის სიხარულით

ისეთი გახარებული, ხალისიანი და თვალებგაბრწყინებული იყვნენ ღამაზად მორთულ ნაძვის ხესთან თავმოყრილი პატარები, რომ საკუთარ მშობლებსაც კი, უკვირდათ...

შობის დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე ზემო ხანდაკის საბავშვო ბაღის ორივე საადმზრდელო ჯგუფში საინტერესო და დასამახსოვრებელი საახალწლო აქტივობა ჩატარდა.

– ძველი წლის გაცილების ტრადიციული დღესასწაულისათვის თადარიგი ადრევე დავიჭირეთ, ამ აქტივობის ორგანიზებაში პედკოლექტივის ყველა წევრი თანაბრად მონაწილეობდა, – განმარტავს ზემო ხანდაკის საბავშვო ბაღის გამგე თამარ დეკანოზიშვილი, – საბედნიეროდ, ჩვენს დაწესებულებაში ნამდვილად არსებობს იმის რესურსი, რომ აღსაზრდელებს ბედნიერება მივანიჭოთ, ამით, რასაკვირველია, კმაყოფილები არიან მშობლებიც.

საახალწლო ღონისძიება ჯერ 5-6 წლიანთა ჯგუფში ჩატარდა, ძალიან იაქტიურეს აღმზრდელებმა თ. გორგაძემ და გ. გამყრელიძემ, მუსიკის მასწავლებელმა ნონა ბახტაძემ და მეთოდისტმა ც. ამირეზაშვილმა, რომლებმაც შესაფერისად შეარჩიეს საკონცერტო ნაწილის ლექსები და სიმღერები, ცეკვები, სკეტჩები, ამიტომ იყო, რომ ბავშვებმა საინტერესოდ, შინაარსიანად განასახიერეს საყვარელი ზღაპრების გმირების "როლები"... მერე კი, სიხარულის და ემოციების, საზეიმო შეძახილების ფონზე გამოჩნდა თოვლის პაპა, რომელიც პატარებს ტკბილეულით გაუმასპინძლდა. უემოციოდ არ ჩაუვლია საახალწლო ღონისძიებას 3-4 წლიანთა ჯგუფშიც. უწინდელზე უფრო ალერსიანები იყვნენ აღმზრდელ-მასწავლებლებიც: თ. გორგაძე და ლ. კახიშვილ-იანვარაშვილი, რომლებიც პატარებთან ერთად ილხენდნენ, იყო დადებითი განწყობა, პატარები მოთმინებით ელოდნენ, თუ როდის გახსნიდა თოვლის პაპა თავის ჯადოსნურ ხურჯინს... მანამდე კი, მასთან ერთად ცეკვავდნენ და მღეროდნენ, ამ საერთო ფერხულში მშობლებიც ჩაერთვნენ, ბოლოს კი, ყველამ ერთად გადაიღო სამახსოვრო ფოტო.

აქტივობის მოტივაცია, უნარების გამოვლენა

ქალაქის ნომერ მეორე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა საახალწლო აქტივობის თეატრალიზებული წარმოდგენა გამართეს, რომელიც 5-6 წლიან ჯგუფის ბავშვებმა აღმზრდელებთან და მშობლებთან ერთად მოამზადეს. ბავშვებს სადღესასწაულო შეხვედრის მოწყობაში დაეხმარნენ პირველი ჯგუფის აღმზრდელები: ელიზა ბაშარული და ირმა მილაძე, აღმზრდელის თანაშემწე ლალი მახარაშვილი და მაია ხოსრიაშვილი, პარალელური ჯგუფის აღმზრდელი ნანა დალაქიშვილი, მისი თანაშემწე ლელა შალუტაშვილი.

– საახალწლო აქტივობა ორგანიზებულად და შინაარსიანად ჩატარდა, რასაკვირველია, იგი ერთ მთავარ მიზანს ემსახურებოდა, – განაცხადა ბაღის გამგემ თამარ ხოკრიშვილმა, – ეს გახლავთ აღსაზრდელების მოტივაციის ამაღლება და ბუნებრივია, შობა-ახალი წლის დღესასწაულის მნიშვნელობის გააზრება, რაც ყველაზე მთავარია, პატარების ზეპირი მეტყველების გაუმჯობესება, მუსიკალური, ქორეოგრაფიული და სხვა უნარების გამოვლენა და დახვეწა.

საზეიმო შეხვედრა დაიწყო "ცეკვა-მისალმებით", რომელშიც ყველა ბავშვი აქტიურად მონაწილეობდა. რა თქმა უნდა, შესრულდა ცეკვები და სიმღერები, მხატვრული კითხვა, ახალი წლისათვის შესაფერისი სკეტჩები... ღონისძიებაზე ჟღერდა ბაღის მუსიკის მასწავლებლის ნინო მერებაშვილის მიერ დაწერილი სიმღერებიც, რომლებიც განსაკუთრებულად

გაითავისეს და შეიყვარეს პატარა აღსაზრდელებმა. საინტერესო და დასამახსოვრებელი იყო პატარებისათვის ნინო მასწავლებლისა და მეთოდისტის ეკა ქარჩავას მიერ დადგმული ერთიანი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით "ოცნებები აგხდენოდეთ ჩვენო პატარებო", რომელიც ძალიან მოეწონათ მოწვეულ სტუმრებს, მშობლებს... დაბოლოს, ბავშვები მხიარული შეძახილებით შეხვდნენ თოვლის პაპას, რომელსაც თან ახლდა ფიფქია, საახალწლო საჩუქრებით მოხიბლული პატარები მადლობას უხდიდნენ სასურველ სტუმარს.

ნელს უკეთ, ვიდრე შარშან!

სპორტის ნებისმიერ სახეობაში, როგორც წესი, მხოლოდ ის სასპორტო ორგანიზაციები, კლუბები, გუნდები და, გნებავთ, სპორტსმენები აღწევენ მაღალ მიზნებს, რომლებიც საღად და კრიტიკულად ანზოგადებენ, აფასებენ უკვე მოპოვებულ შედეგებს, ანუ, რა თქმა უნდა, სახავენ სამომავლო ამოცანებს დევიზით: — ნელს უკეთ, ვიდრე შარშან!

ამიტომ უპრიანი იქნება, კალენდარული ორი წლის მიჯნაზე კიდევ ერთხელ გადავხედოთ კასპის სპორტული კომპლექსის სამწვრთნელო ჯგუფებისა და მოსწავლე-ახალგაზრდების მიერ 2018 წლის მონაგარს.

✦

* იანვარი: წლის ახალი სპორტული სეზონის პირველი შეჯიბრება სოფელ მეტეხის დახურულ საჭიდაო დარბაზში ჩატარდა მოზარდებს შორის ძიუდოში: ჩვენში ეს სოფელი ყველაზე სპორტულია, აქ 2 საჭიდაოა და ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენები ჰყავთ. მეტეხის "დახურული" პირველია, რომელიც ჯერაც 1986 წელს მუნიციპალური ცენტრის გარეთ აშენდა, იმდროინდელი ქართული სპორტის დამსახურებული მუშაკის — ივანე ბოჭორიძის გულისხმიერებით. ამიტომაც დარბაზი მისი სახელობისაა (დამატებით იხ. "ოქტომბერი").

✦

* თებერვალი: 16 წლის ყმაწვილკაცმა ირაკლი დემეტრაშვილმა საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა პირველობაზე მე-3 ადგილი დაიკავა: სადებიუტო შედეგი თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ იგი იმედებით აღავსო და, მართლაც, ირაკლიმ წლის მომდევნო თვეებში რამდენიმე ტურნირი მოიგო კასპშიც და მის გარეთაც. აი, ყველაზე საამაყო სიურპრიზი როდის შემოგვთავაზა, ამის თაობაზე — ქვემოთ (იხ. "დეკემბერი").

— ჩვენი სპორტკომპლექსის დარბაზებში შესაძლებელია არა მხოლოდ სასპორტო ღონისძიებების გამართვა, არამედ კულტურული და შემეცნებით-გასართობი ხასიათისაც: ეს დაადასტურა წარმოშობით ჩვენებური სპორტული ჟურნალისტის და ტელეკომენტატორის თამაზ გოგიბედაშვილის ქართული ჭიდაობის ისტორიის თემაზე დაწერილი წიგნის წარდგინებამ ფართო აუდიტორიის წინაშე. საინტერესოა, რომ სწორედ ბატონი თამაზი ბრძანდებოდა 2017 წლის მაისში ახალგახსნილ სპორტკომპლექსში ჩატარებული პირველი მემორიალური ტურნირის ინიციატორი, რაც მიეძღვნა ძველდროების მოჭიდავის ლადო გოგიბედაშვილის ხსოვნას.

✦

* მარტი: 15 წლის ეკა რაზმაძე თვის დასაწყისში "ანტალიის თასის" გათამაშებაში ჩაება: ახლო წარსულში წარმატებული ძიუდოისტის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ჯემალ (ჯიმშერ) ხორბალაძის შეგირდი — გოგონა, მართალია, ვერ მოხვდა პრიზიორებში, მაგრამ საკმაოდ ტექნიკური ჭიდაობით სპეციალისტებს თავი მოაწონა და ნაკრების კანდიდატად დაასახელეს. ეს ერთგვარი ავანსი იყო მისთვისაც და მწვრთნელისთვისაც, რაც სხვა შეჯიბრებებში უნდა გამართლებულიყო (იხ. "დეკემბერი").

— საქართველოს საკალათბურთო ეროვნული ლიგის "ბ" ჯგუფში მოასპარეზე კასპელი 14-წლიანი ჭაბუკების გუნდის ერთ რიგით თამაშში, მაგრამ ყველაზე პრინციპული რომ აღმოჩნდა, დედაქალაქის ამბიციურ "მაქაბთან" გამარჯვება სახუმარო საქმე არ გეგონოთ! ჩვენი "კასპის" ახალბედა მწვრთნელია დავით ჯინიყაშვილი, რომელმაც წლის განმავლობაში სათანადო სალიცენზიო გამოცდები წარმატებით გაიარა, და მისი შეგირდები ახლო მომავალში კასპში საკალათბურთო ბუმს შემოგვთავაზებენ (ამის შესახებ — სხვა დროს).

✦

* აპრილი: 20 წლის ჯაბა პაპინაშვილმა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრმა, "ანტალიის გრანპრის" პირველობაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა: ამით სარეიტინგო ქულები გაეზარდა და კლასიფიკაციის ცხრილში წინ ერთბაშად 200 საფეხურით წაიწია. მეტიც, იგი სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდულ მსოფლიო კლასიფიკაციას. ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით უფროსთა რეიტინგშიც იხეირა — მე-60 პოზიციამდე აინაცვლა. მას უკვე ეროვნული ნაკრების წევრად მოიაზრებენ (წლის ბოლოს საქართველოს პირველობაზე მე-2 იყო და გუნდში ადგილი დაიბევა. რაც მთავარია, შეინარჩუნა ლიდერის პოზიცია მსოფლიო ახალგაზრდებს შორის).

✦

* მაისი: სპორტკომპლექსს საქმიანი ვიზიტით ეწვია საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლობითი ჯგუფი, მისი პრეზიდენტის პაატა გურასპაულის ხელმძღვანელობით. კასპის მუნიციპალიტეტის თავკაცებთან, ადგილობრივ დირექციასა და მწვრთნელებთან, ორმხრივად საინტერესო და სასარგებლო მოლაპარაკებისას, შემუშავდა სამომავლო ერთობლივი გეგმა (წლის განმავლობაში ამან უკვე მოიტანა პირველი კონკრეტული შედეგები).

✦

* ივნისი: უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, რა დასამალია, კასპში მაღალი დონის სასპორტო შეჯიბრებები აღარ ჩატარებულა, ცხადია, სათანადო ბაზის უქონლობის გამო. და, აი, ქალაქის საკალათბურთო დარბაზი დროებით საჭიდაო არენად გაეწყო: გაიმართა ჭაბუკ ძიუდოისტთა პირველი საერთაშორისო მასშტაბის 2-დღიანი ტურნირი. მასში საქართველოს 10-ზე მეტმა ქალაქმა და რაიონმა მოავლინა წარმომადგენლები. ასევე, გვეწვივნენ მოჭიდავეები სომხეთიდან, კვიპროსიდან, რუსეთიდან და სულ 300-ზე მეტი მოასპარეზე შეიკრიბა. კომპლექსის დირექციის (დირექტორი გიორგი ნიპარიშვილი) მცდელობამ სასურველი პირობების შექმნა განაპირობა და ტურნირის სათანადოდ ორგანიზებულმა დონემ გვიჩვენა, რომ კასპში ნამდვილად შესაძლებელია რესპუბლიკური ნებისმიერი რანგისა და საერთაშორისო მასშტაბის ასპარეზობათა მაღალკვალიფიციურად მოწყობა.

✦

* ივლისი: ზაფხულში სპორტკომპლექსის მოსწავლეებმა წარმატებით იასპარეზეს რამდენიმე ღია პირველობასა და საერთაშორისო ტურნირში საქართველოს ქალაქებში: ქ. ბათუმში — კლუბების: "კასპის" (მწვრთნელი ალექსანდრე მანძულაშვილი) და "ხვადის" (მწვრთნელი დავით დალაქიშვილი) კარატისტებმა; ქ. თელავში — ფიტნესკლუბ "ამირანის" (მწვრთნელი გია მერებაშვილი) ძალისმიერმა მოჭიდავეებმა; ქ. თბილისში — კლუბ "იმედის" (მწვრთნელი ოთარ თოიძე) კიკბოქსინგელებმა; ქ. ბათუმში — ნორჩმა ძიუდოისტებმა (მწვრთნელები — ნუგზარ და იოსებ მამულაშვილები, ჯემალ ხორბალაძე, ბერდია ნატროშვილი).

✦

* აგვისტო: ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს რამდენიმეგზის პრიზიორი სამბისტის — ვანო გამხიტაშვილის ხსოვნის მემორიალური ახალგაზრდული ტურნირი ყოველწლიურ კალენდარში აქვს შეტანილი საქართველოს სამბოს ეროვნულ ფედერაციას (პრეზიდენტი ავთანდილ ცინცაძე): და, აი, რიგით მე-5 ასპარეზობა ამჯერად კასპში ჩატარდა. ეს კი ნიშანდობლივი სიახლეა — ჩვენი დირექციის ინიციატივითა და მეორე მხარის დასტურით გადაწყდა, რომ ტურნირი მისამართს შეიცვლის და ამიერიდან კასპში მოეწყობა, თანაც, ტრადიციულ ხასიათს შეიძენს.

✦

* სექტემბერი: სოფელ ხოვლის ძველი საჭიდაო, რომელმაც არაერთი თაობის ახალგაზრდობა დააკვალიანა სპორტულ სამყაროში, კვლავ ახმიანდა: აქ გაიმართა შიდამუნიციპალური მემორიალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, წარსულში ცნობილი მოჭიდავის, სულიკო კოშაძის ხსოვნის საუკვდავოდ.

— სოფელ აღაიანში გაიხსენეს ჩვენი დროის გმირი ვაჟკაცის, 2015 წელს თბილისში დაღუპული მეხანძრე-მაშველის ზურაბ მუზაშვილის სახელი: ყოფილი მოჭიდავის სახელობაზე აქამდეც ტარდებოდა სასოფლო პირველობები, ამიერიდან კი ეს მოხდება მუზაშვილის სახელობის საჭიდაო დარბაზში (აქვე დავძენთ, რომ გარდაცვლილ მოჭიდავეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირები სხვა სოფლებშიც გაიმართა: კავთისხევში, ლამისყანაში, თეზში, სამთავისში, მეტეხში... კასპის დარბაზებმა უმასპინძლეს ელგუჯა გეჯაძისა და მალხაზ კუმლაძის მემორიალურებს).

✦

* ოქტომბერი: მეტეხში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა სოფლის სახელოვანი შვილის, ქვეყნის მასშტაბით ამაგდარი ადამიანის, ქართული სპორტისათვის უამრავი სასიკეთო საქმის შემმატებლის — ივანე ბოჭორიძის დაბადებიდან საიუბილეო, მე-100 წლისთავი: ქართულ ჭიდაობაში გუნდური პირველობა (რაც, კარგახანია, სხვაგანაც აღარ იმართება) კასპის, ქარელის, გორისა და ცხინვალის მოჭიდავეთა ნაკრებების მონაწილეობით გაიმართა მეტეხელი პირველი მსოფლიო ჩემპიონის იოსებ მაღალაშვილის სახელობის ღია საჭიდაო არენაზე.

— ფრიად პერსპექტიულმა ჩვენებურმა ძიუდოისტმა ჯაბა პაპინაშვილმა ამჯერად ბრინჯაოს მედალი ირგუნა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც შორეული ბაჰამის კუნძულების დედაქალაქ ნასაუში მოეწყო.

✦

* ნოემბერი: ქ. თბილისში ჩატარებული "მსოფლიო თასის" გათამაშების ერთ-ერთ სახეობაში, ე. წ. "რაპიდის" მოასპარეზეთა შორის (64-უჯრიან შაშში) წარმატებით გამოვიდა საქართველოს სახელით მოასპარეზე ქართველ მოშაშეთა ჯგუფის წევრი, კასპელი ლია ყაზარაშვილი: მან გაიყო მე-2-3 ადგილები. ქალბატონი ლია სახელოვანი მოშაშეა — 1999 წელს გაიმარჯვა საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში. შეიძლება ბევრს აღარ ახსოვდეს, რომ 4-გზის ჩემპიონი გამარჯვებულის ტიტულს ეცილებოდა ხოლმე უფროს დას — გიულის. დიდი ხანი არაა, რაც იგი სპორტკომპლექსში შაშის ჯგუფის მწვრთნელია.

✦

* დეკემბერი: დიახ, სამბოში, სადაც კასპელ მოჭიდავეებს ადრე ყველაზე მრავლად მოუპოვებიათ მსოფლიო-ევროპის დონის გამარჯვებები, ჭიდაობისა და, საერთოდ, სპორტის ყველა სხვა სახეობასთან შედარებით, კვლავ გვყავს მსოფლიო ჩემპიონი — 16 წლის ირაკლი დემეტრაშვილი (დაბადებულია 2002 წლის 17 სექტემბერს)! სერბეთის ქ. ნოვი-სადში მან, ქართველ მოჭიდავეთა ნაკრებიდან ერთადერთმა, მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი მძიმე წონის (+84 კგ) მეტოქეებთან ჭიდილში. ვულოცავთ ირაკლის, მის ყველა გულშემატკივარსა და პირად მწვრთნელს ნუგზარ მამულაშვილს ესოდენ სასახელო და ბევრისმეტყველ მიღწევას!

— 2018 წლის ბოლო თვემ მეორე გულგასახარი საჩუქარიც დაგვიტოვა: სოფელ დოესის საჯარო სკოლის მეათეკლასელმა ეკა რაზმაძემ (მის შესახებ "მარტის" ცნობას გადავხედოთ) ამჯერად სამბისტის ჩოხა მოირგო ძიუდოს კიმონოს ნაცვლად და იმავე სერბულ ჩემპიონატში ასპარეზობისას პირველად მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. როგორც ამბობენ: — ეს ერთი და სხვა მრავალი! ასეა, უახლოეს წლებში ჩვენი ეკა მეტი გაბედულებით წარდგება სარბიელზე, უკვე ეროვნული ნაკრების სახელით. ოღონდ, ჭიდაობის რომელ სახეობაში, ძიუდოში თუ სამბოში, ამას დრო გვიჩვენებს. ჩვენ გვჯერა მისი!

კასპის სპორტული კომპლექსი.

სპორტული კასპი — 2018

,,სვეტოვის ნაბოდვარი, სვეტოვის შრომობა,,

თბილი, დაუვიწყარი და შინაარსიანი საღამო გაიმართა კასპის სკოლა-გიმნაზიაში, რომელიც მიეძღვნა რაიონსა და ქალაქში კარგად ცნობილი, გამორჩეული პედაგოგის ქალბატონ დალი ოკინაშვილის დაბადების დღესა და პედაგოგიური მოღვაწეობის ხანგრძლივ თარიღს...

ტრადიციულ ოჯახში დაბადებულ-აღზრდილმა დალი ოკინაშვილმა წარჩინებით დაამთავრა კასპის მეორე საშუალო სკოლა /რუსული სექტორი/ და სწავლა გაგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

თავდაპირველად დალი ოკინაშვილი ანუ აქაურებისათვის უსაყვარლესი რუსულის მასწავლებელი დალი დავიდოვნა კასპის ინდუსტრიულ ტექნიკუმში რუსული ენის კურსს უკითხავდა ტექნიკუმელებს, შემდეგ კი, პროფესიონალი პედაგოგი კასპის მესამე საშუალო სკოლაში აგრძელებს მოღვაწეობას და ვინ მოთვლის, რამდენი სწავლას მოწყურებული, დაინტერესებული ახალგაზრდა დააკვალიანა, შეაყვარა რუსული ენა და ლიტერატურა.

— პროფესიონალიზმით, ღირსებითა და ავტორიტეტით გამორჩეული პედაგოგი, მომავალი თაობის აღმზრდელი ქალბატონი დალი ოკინაშვილი ჩვენი სასწავლებლის გახსნის დღიდან მუშაობს, — განაცხადა კასპის სკოლა-გიმნაზიის დირექტორმა ბესიკ ნიპარიშვილმა, — და ამდენად, ხომ წარმოგიდგენიათ, ამ ორი ათეული წლის განმავლობაში რამდენ ახალგაზრდას დასდო ამაგი, მარტო მოსწავლეების კი არა, იგი კოლეგების გვერდში მდგომი და მათი უტყუარი შემფასებელიც გახლავთ.

ღვაწლმოსილი პედაგოგის დალი ოკინაშვილის დაბადების დღის აღსანიშნავი საზეიმო შეხვედრა გაალამაზეს მოსწავლეებმა, რომლებმაც საყვარელ მასწავლებელს ლექსები მიუძღვნეს, მის საპატივსაცემოდ სიმღერებიც შეასრულეს... ძალიან შთამბეჭდავი იყო მილოცვები, რომლებიც იუბილარს უცხოეთიდან სკაიპით გამოუგზავნეს უახლოესმა მეგობრებმა და კოლეგებმა. ერთგულ მეგობარსა და კოლეგას გიმნაზიის პედაგოგების სახელით დაბადების დღე მიულოცა ნინო ბურდულმა, ჯანმრთელობა, ბედნიერი სიცოცხლე უსურვა იუბილარს საზეიმო ვითარებაში გადასცა კოლეგების სამახსოვრო საჩუქრები და სიამაყით გაიხსენა მასთან გატარებული წლები. დაბოლოს, ქალბატონმა დალი დავიდოვნამ სამადლობელი სიტყვით მიმართა ერთგულ მეგობრებს და უდიდესი მადლიერება გამოთქვა დაფასებისათვის.

სპორტი

დამაჯერებელი შედეგები

კასპის საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებენ, როგორც რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ, ასევე რეგიონულ ტურნირში, რაც რასაკვირველია, ერთგვარად ხელს უწყობს აქაური დამწყები სპორტსმენების დაოსტატებასა და დახვეწას...

2018 წლის შიდა ქართლის რეგიონულ ჩემპიონატში კასპელმა ფეხბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს სამ ასაკობრივ ჯგუფში დაბადებულ ვაჟთა შორის.

2003-2004 წლებში დაბადებულ ვაჟთა ჩემპიონატში მონაწილეობდა რეგიონის ექვსი საფეხბურთო გუნდი. კასპის "განთიადმა" / მწვრთნელი ზაზა ჯალალი / 15 ჩატარებული შეხვედრიდან 12- ჯერ იზეიმა გამარჯვება, ერთი შეხვედრა დამთავრდა ფრედ, მეტოქეს მხოლოდ ორ შეხვედრაში დაუთმო წარმატება, დააგროვა 37 ქულა, მეტოქის კარში გაიტანა 39 გოლი, საკუთარ კარში გაუშვა 18 და დაიკავა პირველი ადგილი.

2005-2006 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის რეგიონის პირველობაზე ოთხი საფეხბურთო გუნდი იღებდა მონაწილეობას. კასპის "განთიადმა" 12 ჩატარებულ ასპარეზობაში რვა გამარჯვება მოიპოვა, ერთი შეხვედრა დამთავრდა ფრედ, ხოლო სამი თამაში წააგო.

ამდენად, გუნდმა დააგროვა 17 ქულა და საფეხბუთო გუნდ "გორის" შემდეგ მეორე საპრიზო ადგილი გაინაღდა.

ასევე წარმატებით იასპარეზა კასპის "განთიადის" 2007-2008 წლებში დაბადებულ ვაჟთა გუნდმა. აღსანიშნავია ისიც, რომ ოთხ საფეხბურთო გუნდს შორის ამ ასაკის ფეხბურთელებმა ჩაატარეს 12 შეხვედრა, აქედან 10 შეხვედრაში გამარჯვებას მიაღწიეს, ამდენად, გუნდმა დააგროვა 30 ქულა და შიდა ქართლის რეგიონის ჩემპიონობა იზეიმა /მწვრთნელი მალხაზ ჯალალი/.

როგორც საფეხბურთო სკოლის მესვეურები ვარაუდობენ გასული წლის დამაჯერებელი შედეგები იმის უტყუარი მაგალითია, რომ 2019 წელი გაცილებით წარმატებული იქნება.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

,,დროება,, 1876 წლის 1 აგვისტო

კასპის თეატრალური წარსულიდან

ქართული პროფესიული თეატრი დააარსა და მისი იდეური, შემოქმედებითი მრწამსი განსაზღვრა პოეტმა და დრამატურგმა გიორგი ერისთავმა. პირველი წარმოდგენა კი გაიმართა 1850 წლის 2 (14) იანვარს, თბილისის გიმნაზიის სააქტო დარბაზში, სცენისმოყვარეთა ძალებით, ერისთავის რეჟისორობითა და მონაწილეობით წარმოადგინეს მისივე პიესა გაყრა.

მინდა წარმოგიდგინოთ გაზეთ "დროების" 1876 წლის 1 აგვისტოს ნომერში (გვ.2) გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის კასპის თეატრალური წარსულიდან.



ქართლის სოფელ ქასპიდამ გვწერენ, რომ ივლისის 25-ს აქ ახალგაზდა ქალ-ვაჟებმა ორი პიესა წარმოადგინეს თითო მოქმედებანი ოდევილები, ერთი გრ. სოლლოგუბისა „Бѣда отъ нѣжнаго сердца“ და მეორეც ზრიგორიევისა—„Горе отъ тещи, или женись да оглядывайся.“ წარმოდგენა კარგი იყოო, გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი, მაგრამ რა? ეტყობათ, მარტო თავიანთვის არდგენდნენო, რადგან, იმათ გარდა, მაყურებლებში ორ-სამს თუ ესმოდა რუსული ენაო და დანარჩენი მაყურებლები, მხოლოთ ზრდილობისათვის, იცინოდნენო და ისიც მაშინ, როცა რუსულის მცოდნენი გაიცინებდნენო. როგორ იამებათ, მართლა, ზოგიერთ რუსებს, როცა შეიტყობენ, რომ შუაგულ საქართველოს სოფელსში ქასპში რუსულ წარმოდგენებსა მმართვენო!

სოფელ კასპიდამ გვწერენ, რომ ივლისის 25-ს აქ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებმა ორი პიესა წარმოადგინეს თითო მოქმედებანი ვოდევილები, ერთი გრ. სოლლოგუბისა "ბედა ოტ ნეჟნოგო სერდცა" და მეორეც გრიგორიევისა "გორე ოტ წოში , ილი ჟენის და აგლადივაისა".

წარმოდგენა კარგი იყოვო, გვწერს ჩვენი კორესპონდენტი, მაგრამ რა? ეტყობათ, მარტო თავიანთვის არდგენდნენო, რადგან, იმათ გარდა, მაყურებლებში ორ-სამს თუ ესმოდა რუსული ენაო და დანარჩენი მაყურებლები, მხოლოთ ზრდილობისათვის, იცინოდნენო და ისიც მაშინ, როცა რუსულის მცოდნენი გაიცინებდნენო.

როგორ იამებათ, მართლა, ზოგიერთ რუსებს, როცა შეიტყობენ, რომ შუაგულ საქართველოს სოფელსში კასპში რუსულ წარმოდგენებსა მმართვენო!. (სტილი დაცულია).

1882 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დღევანდელი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხში გახსნა სკოლა. 1898 წლის 22 ოქტომბერს კი ეკურთხა საზოგადოების მიერ აგებული სკოლის ახალი შენობა. დღეს მივაკვლიე ამ სკოლის ფოტოს, რომელიც გამოქვეყნებულია ვალერიან გუნიას მიერ შედგენილ 1905 წლის საქართველოს კალენდარში.

ვანო ჯახუა.

“ისმოდეს საქართველოში სიმღერა საიერიო”

პოპულარული სატელევიზიო მუსიკალური პროექტი “მხოლოდ ქართული” /მეორე სეზონი/ ეკრანზე გამოჩენისთანავე აიტაცა მაყურებელმა, ხოლო პროექტის კონკურსანტებმა /ათეული/ იმთავითვე დაიმსახურეს ხალხის საყოველთაო სიმპათია, სიყვარული, დიდი ინტერესი. დიახ, მათდამი უდიდეს მხარდაჭერას, სითბოს, მოწონებასა და აღტაცებას ყოველჯერზე გამოხატავდა ტელემაყურებელი და დაუზარლად, დიდი ენთუზიაზმით უგზავნიდა მხარდამჭერ სატელეფონო ზარებს... “მხოლოდ ქართულის” ყველაზე დინამიური ნაწილი გახლდათ ტელეკონკურსის ფინალი, სადაც ერთმანეთს “დაუპირისპირდა” ოთხი კონკურსანტი, მაყურებლის და არა მხოლოდ ქართველი მაყურებლის ერთ-პიროვნული ფავორიტი გიორგი კელაპტრიშვილი /ყველა ეტაპის ლიდერი/, ნოდარიკო ხუციშვილი, გუგა მარგველაშვილი და ნუცა თოფურია. თითოეულმა მათგანმა შეასრულა ორ-ორი მუსიკალური ნომერი, ერთი – ეროვნული სიმფონიური ორკესტრის თანხლებით, /ხელმძღვანელი მაესტრო ნიკოლოზ რაჭველი/, ხოლო მეორე – ტელეპროექტ “მხოლოდ ქართულის” მუსიკოს ზვიად ბოლქვაძესთან ერთად.

ერთი სიტყვით, მუსიკალური პროექტის “მხოლოდ ქართულის” მეორე სეზონის გამარჯვებული გახდა მაყურებლის ფავორიტი გიორგი კელაპტრიშვილი... და, ეს ბრწყინვალე გამარჯვება, საყოველთაო აღიარება ახალგაზრდა, ჯერკიდევ გამოუცდელმა მუსიკოს-შემსრულებელმა დიდი შრომისა და ძალისხმევის, ნებისყოფის ფასად მოიპოვა, თუმცა, საბედნიეროდ, წარმატების მიღწევაში გიორგის საამაყო წარმომავლობამაც შეუწყო ხელი, ეს ნიჭიერი ბიჭი ხომ საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი კელაპტრიშვილების შთამომავალია...

მისი დიდი წინაპარის, სახელგანთქმული მუსიკოსის ომარ კელაპტრიშვილის ღვაწლი და დანატოვარი დღესაც აღაფრთოვანებს და ამდიდრებს ეროვნულ კულტურას, ხოლო გიორგის პაპა, ხელოვანი, კულტურის მოღვაწე და შესანიშნავი მუსიკოს-შემსრულებელი გერისო კელაპტრიშვილი პატარაობიდანვე “მოძღვრავდა” შვილიშვილს, ასწავლიდა ხალხური მუსიკის, ქართული ფოლკლორის სიდიადეს... ამიტომაც იყო, რომ ცენტრალურ პრესაში დაბეჭდილ ერთ-ერთ ინტერვიუში გიორგი კელაპტრიშვილმა ერთმნიშვნელოვანად განაცხადა, ხელოვანთა გარემოში გავიზარდეო, ხუთი წლის ასაკიდან ვასრულებდი პატარ-პატარა მუსიკალურ კომპოზიციებს, ყველას მოსწონდა, მაქებდნენ და ალბათ, ამ ყველაფერმა ჩემზე გავლენა იქონია და დღეს მუსიკის გარეშე აღარ შემიძლიაო...

ასეა ბატონებო, ბავშვობაში შთაგონებულმა, მეტიც, გენეტიკურმა კოდმა სასწაულად იფეთქა და ქვეყანას ახლებურად დაანახვა ქართული სიმღერის სითბო და შეუდარებლობა...

სხვა სიმღერებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თუნდაც ფინალურ გამოსვლაზე... აბა, გაიხსენეთ, ანდა ახლიდან მოისმინეთ გიორგის მიერ შესრულებული გია ყანჩელის მუსიკალური შედევრი “ჰერიო ბიჭებო” /არც მეტი, არც ნაკლები ქართველთა ჰიმნი/ რომლის ნახვისას არა მხოლოდ სპეციალისტი, სულ პატარა მსმენელიც კი ვერ “მოთოკავს” სასიხარულო, უფრო მეტიც, აღმაფრთოვანებელ, საამაყო განცდას...

აღსანიშნავია, რომ გიორგი კელაპტრიშვილი “ლიდერობდა”. სცენაზე იდგა დახვეწილი, მოკრძალებული და გულწრფელი, სისადავითა და ქართლური სიდარბაისლით “აღჭურვილი” მომღერალი, რომელმაც ერთბაშად დაატყვევა ქართული სიმღერის თაყვანისმცემელი...

ზუსტად არავინ უწყის, რა მოხდება ხვალ და ზეგ, არც ის ვიცით, რამდენად შეიცვლება გიორგი კელაპტრიშვილის გემოვნება, მაგრამ “მხოლოდ ქართულმა” ნათლად აჩვენა, რომ უახლოესი მომავლიდან ესტრადას ეყოლება საინტერესო, პატრიოტული სულისკვეთების მომღერალი, რადგან საამისოდ გიორგი კელაპტრიშვილს გააჩნია მონაცემი... გიორგი, ვამაყობთ შენი გამარჯვებით, იმედს ვიტოვებთ, რომ მრავალგზის გაახარებ შენს ერთგულ მაყურებელს, განსაკუთრებით კი, ჩვენებურებს.

რუსუდან ხეჩუაშვილი.

პს. ვისურვებთ სულ გამარჯვების გზებით ევლოს გიორგის. გულში კი ვიტოვებთ იმედს, ყველა მოგზაურობიდან დაბრუნებული აუცილებლად ეწვევა ჩვენს მკითხველს. ასე, რომ მომავალ შეხვედრამდე.

ახალგაზრდები ფიქრობენ ...

მე სტუდენტი

პრივატულ საუბარში ყველამ ვიცით როგორ ჯობია ქვეყნის მართვა, ურთიერთობა, მეგობრობა, ფეხბურთის თამაში... რეალობა კი სულ უფრო ხშირად გვიმტკიცებს საპირისპიროს...

ახალგაზრდებო, მოდით, ვიდაოთ გემოვნებაზე, მოქმედების ათვლის წერტილზე, სახელი დავარქვათ ჩვენს დღევანდელობას.

ჰერმან ჰესე არ ვარ, მაგრამ ზოგჯერ მეც ესსე, ზოგჯერ მეც ვწერ. უფრო ხშირად კი ვფიქრობ. უმეტესად ადამიანს იმაზე ეფიქრება, რაც მართლა გულწრფელად აწუხებს. ჩემი ფიქრის ობიექტი, რაც არ უნდა ეგოისტურად ჟღერდეს, თავადვე ვარ, მე სტუდენტი. ერთი შეხედვით ყველაფერი მაქვს კარგი სტუდენტი რომ მიწოდო: დედის გულს რომ გაეხარდება ისე ჩავაბარე და მოვეწყვე იმ ფაკულტეტზე, რომელზეც მამის გულს სურდა, ლექციებსაც იშვიათად ვაცდენ, აკადემიურ მოსწრებასაც არაუშავს. ჩემ ირგვლივ ბევრი ჩემნაირი დედისგულგამხარებელი სტუდენტია, მაგრამ ეს უკანასკნელი სიტყვა მგონი უფრო ბევრს იტევს, ვიდრე მეცნიერული ნაშრომების ზედმიწევნით შესწავლაა და აი, სწორედ აქ გვაქვს პრობლემა, გააზრებისაც და მოქმედება- უმოქმედობისაც.

არ მგონია, რომ ხმამაღალი ნათქვამი იქნება, თუკი ვიტყვი, რომ სტუდენტების მოქალაქეობრივი როლი ყველაზე დიდია ქვეყნის სასიკეთოდ მიმართულ საქმეში.

განვითარებას სჭირდება ნოვაცია, ნოვაციას იმედი რომ ყველაფერი გამოვა და როგორც არისტოტელე ამბობს, ახალგაზრდები იმედიანნი არიან, რადგან მათ არ უგემიათ წარუმატებლობა, მათი წარმატების მიზეზიც ესაა. გავბედავ და ბოლომდე არ დავეთანხმები დიდ ფილოსოფოსს, მეტიც, შევეწინააღმდეგები კიდეც და ვიტყვი, რომ ყველაფერი იმ ქართული სიბრძნის ბრალია: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო. პრობლემის თავი კი სწორედ აქ მარხია.

ალბათ, თვითგადარჩენის შემორჩენილი ინსტიქტია, რომ დღეს ყველა ფიქრობს რა სჭირდება მამულს, რეალურად არავინ მოქმედებს. მე მგონია, რომ სამშობლოსაც და ახალგაზრდებსაც საერთო მთავარი მოთხოვნილება გვაქვს და ეს თავისუფლებაა. ქვეყნის და ხალხის თავისუფლება ცალ-ცალკე არ არსებობს, ის ერთი ცოცხალი ორგანიზმია, თავისუფლება ბედნიერებაა (ვაჟა-ფშაველა), ბედნიერებას მოპოვება სჭირდება, თავისუფლების ბედნიერებას კი მოქალაქეობრივი ვალის პირნათლად შესრულება.

როგორც ახალგაზრდა, თავს არ ვიმართლებ, მაგრამ ჩვენი ინერტულობა მხოლოდ ჩვენი ბრალი არაა. ხშირად უფროსები გვბოჭავენ, საკუთარ აზრებს თავზე გვახვევენ, არ გვაძლევენ დამოუკიდებლად განვითარების საშუალებას. ეს ვერ გაგვათავისუფლებს იმ საქმისგან რაც ჩვენი საკეთებელია, ბორკილები იმისთვისაა რომ ბოლოს და ბოლოს გახსნა, წინააღმდეგობა იმისთვისაა რომ გადალახო, ამისთვის ყველაზე მეტი ძალა, სიცოცხლე, სულისკვეთება კი ვის აქვს თუ არა ჩვენ, ახალგაზრდებს.

აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია-ო, მაგრამ მწყალობელი მომავალი რა არის თუ არა დღეს ნაღვაწის ხვალინდელი გამოვლინება. ამიტომ პრობლემების დღესვე დანახვა, გაანალიზება და თანადროული მოქმედება, მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი (ილია ჭავჭავაძე), უკეთესი აწმყოსა და მომავლის გარანტი.

ის, რაც დღევანდელ ახალგაზრდებს ნამდვილად გვაქვს, ეს კრიტიკული აზროვნებაა. ახლა კი დროა პრობლემების მოგვარების გზების ძიება, გადაწყვეტილებების მიღება და მათი შესრულება ვისწავლოთ. მიუხედავად იმისა, რომ უფროს თაობას ჩვენი ნაკლებად სჯერა, ჰგონიათ რომ ტექნიკურმა რევოლუციამ, განვითარების ნაცვლად, დაბლა დაწია ჩვენი მოტივაცია და უკიდურესად განწყობილნი ხშირად უწიგნურებსაც გვიწოდებენ, მე მჯერა, რომ ჩემი თაობა შეძლებს საკუთარი მოქალაქეობრივი ვალის პირნათლად შესრულებას.

დიახ, მე სტუდენტი ვარ და ჩემი თანატოლების მსგავსად, ვიცი რომ დედის გულის გახარება არ კმარა, ჩემი სამშობლოც ცოცხალია, მასაც აქვს გული და მასაც სჭირდება გახარება.

ელენე კაპანაძე.

გაცხადება

ცხცოთელი-ცხმოფრინელი ყოფილრესტორანი ,,ვერჯვანი,, შეფოდგა თავის ცხქმიანობას. ყველა დაინტერესებულ პირს, ვინც ცოფს ყოფილ ვერჯვანში გაწვევრიანებს და ცოფილ ვერჯვანში ცხცოთელი-ცხმოფრინელ პროექტებში ჩაერთვა, შეგიძლიათ მიმართოთ დირექტორს _ ყაცპი, თელეფონზე ქ. №7, ოვერენტი ბოლოლი, ტელ.: 551-24-02-59 ან თბილისი, გრიგოლ ფერაძის ქ. №41, გიორგი ბერეჯული, ტელ.: 558-22-01-10.

გაზეთ “ახალი განთიადის” რედაქცია სამძიმარს უცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს თამაზ ტატანაშვილს მამის

ივანე ტატანაშვილის

გარდაცვალების გამო.

გიორგი ნიპარიშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს თამაზ ტატანაშვილს მამის

ივანე ტატანაშვილის

გარდაცვალების გამო.

ირაკლი ნონიკაშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს თამაზ ტატანაშვილს მამის

ივანე ტატანაშვილის

გარდაცვალების გამო.

კასპის სპორტკომპლექსის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს თამაზ ტატანაშვილს მამის

ივანე ტატანაშვილის

გარდაცვალების გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება სამძიმარს უცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს თამაზ ტატანაშვილს მამის

ივანე ტატანაშვილის

გარდაცვალების გამო.

2019 წელი

იანვარი

კვ.	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბ.
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

თებერვალი

კვ.	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბ.
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28		

მარტი

კვ.	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბ.
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

აპრილი

კვ.	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბ.
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30				

მაისი

კვ.	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბ.
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30	31	

ივნისი

კვ.	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბ.
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30						

ივლისი

კვ.	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბ.
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

აგვისტო

კვ.	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბ.
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

სექტემბერი

კვ.	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბ.
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30					

ოქტომბერი

კვ.	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბ.
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

ნოემბერი

კვ.	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბ.
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

დეკემბერი

კვ.	ორშ.	სამშ.	ოთხშ.	ხუთშ.	პარ.	შაბ.
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

ნოსტე. ოთარ თაგვიაშვილის ფოტო

გამოიწერეთ „**ახალი განთიადი**„! გახდით ჩვენი მკითხველი!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. ქოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერეებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76